# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 347

"6" აგვისტო 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრო / რაიონის კორპუსი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.005.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრორაიონის კორპუსი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.005.013.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 4 აგვისტოს №21.1074.1203 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრო/რაიონში, კორპუსი №7-ში, პირველ სართულზე მდებარე 69.12 კვ.მ. ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.11.10.005.013.01.507), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მეგი ჩაჩანიძისთვის (პ/ნ. 01004003739) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე